შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

ეთიკისა და ქცევის კოდექსი

სარჩევი

I. კოდექსის მოქმედების სფერო 3

II. ეთიკისა და ქცევის წესების უნივერსალური პრინციპების იმპლემენტაცია და შინაარსი 5

III. უნივერსიტეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) ვალდებულებები ეთიკის და ქცევის კოდექსის იმპლემენტაციაში 9

IV. სპეციალური ქცევის წესები 11

V. პასუხიმგებლობა ეთიკის და ქცევის კოდექსის დარღვევისათვის 12

VI. კოდექსის მოქმედება და გაგება 12

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ვალდებულია დაიცვას ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტი ყველა ტიპის ქმედებაში, როგორც შიდა საუნივერსიტეტო საქმიანობის, ისე უნივერსიტეტის გარეთ ურთიერთობებში. ჩვენი საუნივერსიტეტო საზოგადოება - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის ემერიტუსი, სტუმრად მყოფი და საპატიო, ყველა სტრუქტურული ერთეული და მუდმივი თუ დროებითი გაერთიანება ვალდებულია, იმოქმედოს წინამდებარე ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად.

I. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ეთიკის და ქცევის კოდექსი (შემდეგში - კოდექსი) განსაზღვრავს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის, უნივერსიტეტთან ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით დაკავშირებული პირის ეთიკისა და ქცევის წესების ერთობლიობას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.
2. უნივერსიტეტთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი ყველა პირი, სტუმარი და ყველა, ვინც ჩართულია უნივერსიტეტთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობაში უნდა იქცეოდეს კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.
3. GAU ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული ეთიკისა და ქცევის კოდექსის ხელმისაწვდომობა ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისთვის.
4. კოდექსი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5. კოდექსით განსაზღვრული დებულებების დარღვევა იწვევს თანამშრომლის/სტუდენტის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას.
6. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ზომები, დისციპლინური წარმოების პროცედურული ასპექტები და დისციპლინური წარმოების შედეგები დეტალურად განისაზღვრება „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შინაგანაწესით.“
7. წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრება კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით.

8. ორგანიზაციული თვალსაზრისით მოცემული კოდექსი თანაბრად ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა ძირითად, სამეცნიერო კვლევით და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულზე, ასევე ყველა იმ მუდმივ ან დროებით გაერთიანებაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან უნივერსიტეტთან ან მის საქმიანობასთან.
9. GAU-ს ეთიკისა და ქცევის კოდექსი წარმოადგენს:
   - ეთიკური ნორმების, ღირებულებებისა და ქცევის წესების ერთობლიობას;
   - ეთიკურ პრინციპებსა და ღირებულებებზე დამყარებულ ქცევის წესებისა და სხვა პროცედურების ერთობლიობას.
10. კოდექსის მიზანია:

    - უნივერსიტეტის მისიის განხორციელების ხელშეწყობა სწავლა-სწავლების, კვლევის და მართვის საკითხებთან დაკავშირებით;

    - უნივერსიტეტში გამჭვირვალობისა და პირდაპირობის, პატიოსნების, წესიერების და პატივისცემის, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის, თანასწორობის და აკადემიური საკითხების დაცვა;

    - თანამშრომლების და სტუდენტების დახმარება იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში.
11. უნივერსიტეტის მისიის შესრულება მოითხოვს მის მიერ აღიარებული ღირებულებების და გაცხადებული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანებისადმი ერთგულებას, მათი რეალიზაციისათვის კოდექსის შესაბამისად ეთიკური ქცევის ფარგლებში მოქმედება წარმოადგენს GAU-ს ყველა თანამშრომლის და სტუდენტის ვალდებულებას უნივერსიტეტის შიგნით და მის გარეთ.
12. კოდექსი ეფუძნება შემდეგ უნივერსალურ პრინციპებს:

12.1. სამართლიანობა და თანასწორობა, რაც გულისხმობს: დაუშვებელია თანამშრომელის/სტუდენტის დისკრიმინაცია, იძულება და ექსპლუატაცია. სამართლიანობა უკავშირდება უფლებათა განაწილებას, დაცვას და ზეწოლის პრევენციას. ჩვენს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ყველა წევრს შეუძლია მიიღოს მასში სრულყოფილად მონაწილეობისა და პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობა. GAU-ს ყველა თანამშრომელი და სტუდენტი უნდა სარგებლობდეს თანაბარი შესაძლებლობებით სქესის, რასის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური და რელიგიური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის, ოჯახური მდგომარეობის და/ან სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

12.2. ადამიანის უფლებათა თანასწორობა, რაც გულისხმობს: თითოეული ადამიანი პიროვნებაა და მისი უფლებები უნდა იქნას პატივცემული და დაცული. სხვა ადამიანების უფლებების პატივისცემა წარმოადგენს საფუძველს იმისას, რითაც ინდივიდები საზოგადოების წევრები ხდებიან და იღებენ თავიანთ სოციალურ ვალდებულებებს რათა იმოქმედონ სამართლიანად.

12.3. პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს: ადამიანებმა არ დაუშვან ერთმანეთისა და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებებისათვის ზიანის მიყენება, გამოამჟღავნონ ეთიკური ქცევა და მიყვნენ იმ სტანდარტებს, რომლებიც უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრს მოეთხოვება საზოგადო სიკეთის შქმნისა და მიღების მიზნით. ზემოხსენებული ქმედებით ისინი დაიცავენ სხვის უფლებებს და გამოხატავენ პატივისცემას განსხვავებული კულტურებისა და ხალხების, აკადემიური საზოგადოებისა და შესაბამისი საქმიანობის მიმართ. მას, ვინც საკმაოდ ძლიერია საკუთარი უფლების დასაცავად, გააჩნია შესაბამისი ეთიკური მოვალეობა განახორციელოს ზრუნვა მათ მიმართ, ვისი კეთილდღეობაც სწორედ მათზეა დამოკიდებული.

12.4. პატიოსნება, რაც გულისხმობს: აკადემიური უსამართლობის პრევენციას, რაც მოიცავს პლაგიატს, ფარულ თანამშრომლობას, კოპირებას, მონაცემთა გაყალბებას, ჩარევას და საავტორო უფლებების დარღვევას.

II. ეთიკისა და ქცევის წესების უნივერსალური პრინციპების იმპლემენტაცია და შინაარსი

13. **ობიექტურობა სამუშაოზე მიღებისა და სტუდენტისა და პერსონალის საქმიანობის განხორციელების დროს:**

13.1. GAU ამ კოდექსით უზრუნველყოფს მოშალოს ნებისმიერი არაკანონიერი და არაეთიკური ბარიერი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მუშაობის და სწავლის პროცესს;

13.2. GAU ცდილობს შექმნას და დაიცვას დისკრიმინაციისგან თავისუფალი, თანაბარი შესაძლებლობების გარემო სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი მიზნების განხორციელება და

პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება საუნივერსიტეტო მისიის შესასრულებლად;

13.3. სამუშაოზე მიღების, შესაბამისი სამუშაო გარემოსა და პირობების შექმნის, ასევე სამუშაოდან გათავისუფლების წესი დეტალურად განისაზღვრება „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შინაგანაწესით“.

14. **დისკრიმინაციის აკრძალვა, სექსუალური შევიწროება, აგრესია:**

14.1. GAU უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შექმნას აგრესიისგან, ზეწოლისგან და დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო;

14.2. უნივერსიტეტში დაუშვებელია თანამშრომლის/სტუდენტის დისკრიმინაცია რასის, ეროვნების, ეთნიკური კუთვნილების, რწმენის, აღმსარებლობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა კუთვნილების საფუძველზე;

14.3. ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია და/ან შევიწროება საზიანოა ორგანიზაციული ეფექტურობისთვის და შეიძლება იყოს კანონსაწინააღმდეგო;

14.4. GAU-ს მიზანია შექმნას, როგორც მუშაობის, ასევე სწავლის თანაბარი შესაძლებლობები და პირობები. უნივერსიტეტი საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემო;

14.5. სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილას წარმოადგენს გენდერული ნიშნით ძალადობის ფორმასა და ხელშემშლელ ფაქტორს შრომით ურთიერთობებში თანასწორობის მისაღწევად;

14.6. GAU-ში მოქმედებს ნულოვანი ტოლერანტობის პრინციპი დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და სექსუალური შევიწროების მიმართ;

14.7. GAU-ს ნებისმიერ თანამშრომელს/სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს ორგანიზაციისგან ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირისგან მის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის, შევიწროების ან/და ჩაგვრის აღკვეთა.

15. აკადემიური თავისუფლება:

15.1. აკადემიური თავისუფლება აღიარებულია და დაცულია GAU-ს მიერ;

15.2. უნივერსიტეტი აკადემიურ თავისუფლებას მიიჩნევს, როგორც სწორად სწავლების, კვლევისა და ერუდიციის აუცილებელ პირობას;

15.3. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითმა პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს კვლევათა თავისუფლად განხორციელების სურვილით და გამოიყენოს თავისი უფლებები;

15.4. აკადემიური თავისუფლების კონტექსტში სტუდენტები უფლებამოსილნი არიან თავისუფლად გამოხატონ საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებები სასწავლო და სხვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

15.5. GAU ემსახურება რწმენას, რომლის მიხედვითაც ინტელექტუალური აზროვნების და კვლევების, ასევე აზრთა გაზიარების თავისუფლებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის მიზნების მიღწევაში;

15.6. GAU-ს მიზანია დაიცვას პერსონალი და სტუდენტები თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი მცდელობისგან.

16. პროფკავშირის და სხვა გაერთიანებების წევრობა:

16.1. GAU-ს თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან გაერთიანდნენ პროფკავშირში და თავიანთი სურვილისამებრ გადაწყვიტონ მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ამ კავშირის საქმიანობაში;

16.2. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ უფლება ჩამოაყალიბონ და შეუერთდნენ სტუდენტურ გაერთიანებებს ან ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ამ კოდექსის ძირითად პრინციპებს.

17. საჩივრის წარდგენის უფლება (უკმაყოფილება):

17.1.GAU-ს თანამშრომლებს და სტუდენტებს გააჩნიათ სამართლიანი საჩივრის უფლება;

17.2. თანამშრომლებს და სტუდენტებს ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც დაარღვევს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის რეგულაციებზე დაფუძნებულ ნორმალურ საქმიანობას და ხელს შეუშლის სასწავლო პროცესს.

18. კანონიერი მორჩილება - საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს ნებისმიერ საკანონმდებლო მოთხოვნას, ასევე უნივერსიტეტის წესებსა და რეგულაციებს.

19. კადრების შერჩევა - აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და დაწინაურებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს კანდიდატის კომპეტენციას, გამოცდილებასა და ეფექტურობას, სქესის, რასის, გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, ეროვნების და/ან სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

20. ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემო:

20.1. GAU უზრუნველყოფს შრომის ისეთი პირობებს, რომელიც შეესაბამება შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნებს და შესაბამის სტანდარტებს;

20.2. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფით უნივერსიტეტი ხელს უწყობს თანამშრომლების ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას.

21. ინტერესთა კონფლიქტი:

21.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და თანამშრომლებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა თავიდან აიცილონ ან/და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ ინტერესთა კონფლიქტის ფაქტზე, რამაც თავის მხრივ, შეიძლება პირდაპირ ან ირიბად დააზიანოს უნივერსიტეტის რეპუტაცია და წარმატება, ან შეაფერხოს მათი ვალდებულებების შესრულება;

21.2. ინტერესთა კონფლიტის არსებობისას თანამშრომლებმა საქმის კურსში უნდა ჩააყენონ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. სხვაგვარად, ინტერესთა კონფლიქტის გაგრძელებამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინარული სასჯელი.

22. საჩუქრის ან სარგებლის მიღება:

22.1. GAU-ს თანამშრომლებს ეკრძალებათ საჩუქრის მოთხოვნა და სხვა მსგავსი ქმედება თუ აშკარაა, რომ ასეთი ქმედება:

- მიმართულია თანამშრომლის მხრიდან რაიმე კონკრეტული ქმედების შესრულებისკენ და გავლენას მოახდენს GAU-ს ან თანამშრომლის რეპუტაციაზე;
- იქნება მაკომპრომეტირებელი და იმოქმედებს ოფიციალურ სტატუსზე;
- მნიშვნელოვანია სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვის და შეფასების საკითხებისათვის;

22.2. პერსონალის მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონდეს შესაბამისი სკოლის დეკანს ან/და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

23. კონფიდენციალურობა:

23.1. უნივერსიტეტის თანამშრომელმა, რომელსაც გააჩნია წვდომა უნივერსიტეტის შესაბამის დოკუმენტაციასთან, საიდუმლოდ უნდა შეინახოს შესაბამისი ინფორმაცია;

23.2. უნივერსიტტეის თნამშრომელს ასევე ევალება ზეპირი ინფორმაციის გასაიდუმლოება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს;

23.3. უნივერსიტეტი ქმნის ისეთი კანონიერი ნდობასა და გარემოს, სადაც თანამშრომლებსა და სტუდენტებს აქვთ მშვიდად ყოფნის შესაძლებლობა, რომ ინფორმაცია მათ შესახებ შესაბამისადაა დაცული;

23.4. თანამშრომლებს უფლება აქვთ წარუდგინონ პირადი ინფორმაცია მხოლოდ დეკანს ან უფლებამოსილ პირს მხოლოდ აკადემიური და სხვა კანონიერი მიზნებისთვის;

23.5. უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან კონფიდენციალურობის დარღვევა გამოიწვევს დისციპლინარულ სასჯელს;

23.6. უნივერსიტეტში დასაქმებული პირის პირადი ინფორმაციის გამოყენება განისაზღვრება კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით.

24. ინტელექტუალური საკუთრება:

24.1. GAU აღიარებს ინტელექტუალურ საკუთრებას და განუხრელად იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას;

24.2. GAU უზრუნველყოფს სახელშეკრულებო ან სხვა სახის ურთიერთობებში უნივერსიტეტის სახელით შექმნილ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;

24.3. GAU უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას ინტელექტუალური საკუთრების ავტორებისთვის წახალისებისა და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების გზით.

25. პროფესიული განვითრება:

25.1. უნივერსიტეტი ზრუნავს ყველა კვალიფიციურ თანამშრომელს თანაბრად ჰქონდეს პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა;

25.2. GAU უზრუნველყოფს სამართლიანი სახელფასო და წახალისების სისტემის არსებობას და გამორიცხავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას;

25.3. პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში შექმნილი სპეციალიზირებული სისტემის მეშვეობით;

25.4. უნივერსიტეტი და შესაბამისი პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ სტუდენტების მიერ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობას როგორც აკადემიური, ისე სხვადასხვა სერვისული მექანიზმების მეშვეობით.

26. უნივერსიტეტს გარეთ დასაქმება და პრაქტიკა:

26.1. უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ თანამშრომლების მიერ თავიანთი საქმიანობის სფეროში განხორციელებული პროფესიული და საკონსულტაციო სამუშაო სარგებლის მომტანია როგორც უნივერსიტეტისთვის, ასევე ინდივიდისა და საზოგადოებისთვის;

26.2. უნივერსიტეტს გარეთ დასაქმება და პრაქტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უნივერსიტეტის ინტერესებს და ექვემდებარება ინფორმირებისა და ურთიერთ პატივისცემის პრინციპებს.

27. საჯარო განცხადება:

27.1. ითვალისწინებს საჯარო შეხვედრებს და კომენტარებს რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, ასევე შეხედულებების გამოხატვას ბეჭდური ფორმით, სოციალური ქსელის და სხვა შესაბამისი საშუალებებით, საზოგადოებისთვის მისი ფართოდ მიწოდების მიზნით;

27.2. უნივერსიტეტის თანამშრომლებს და სტუდენტებს არ ეზღუდებათ საჯარო კომენტარების გაკეთება;

27.3. საჯარო განცხადება, რომელიც უკავშირდება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საქმიანობას თანამშრომლებმა და სტუდენტებმა წინასწარ უნდა აცნობონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

27.4. თანამშრომლებს და სტუდენტებს, როდესაც ისინი წარმოადგენენ GAU-ს, მოეთხოვებათ ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების უმაღლეს დონეზე დაცვა;

27.5. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეკრძალებათ ნეგატიური საჯარო კომენტარი გააკეთონ GAU-ს კონკურენტებზე;

27.6. თანამშრომლებს, როგორც კერძო მოქალაქეებს, აქვთ საჯარო კომენტარის თავისუფლების უფლება;

27.7. თუ თანამშრომლების მიერ ხდება ისეთი საკითხების კომენტირება, რომლებიც არ ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას, მაშინ მათ უნდა განაცხადონ, რომ კომენტარი კეთდება კერძოდ მათი მხრიდან და არა უნივერსიტეტის სახელით, თუ ასეთ დაზუსტებას კონტექსტი და სიცხადე მოითხოვს.

28. უნივერსიტეტის შენობის და სხვა ქონების გამოყენება:

28.1. GAU-ს თანამშრომლებს და სტუდენტებს აქვთ უფლება გამოიყენონ უნივერსიტეტის შენობა და მოიხმარონ მისი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ფრთხილად, დანიშნულებისამებრ და პატიოსნად;

28.2. საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია უზრუნველყოს რესურსების ეკონომიურად გამოყენება;

28.3. უნივერსიტეტის რესურსების მოხმარება არ უნდა მოხდეს პირადი მიზნებისთვის, თუ ამ უკანასკნელზე არ არსებობს უნივერსიტეტის შესაბამისი ნებართვა.

29. კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის ეთიკურად წარმოება:

29.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი პერსონალი და კვლევით კომპონენტში ჩართული სტუდენტები განუხრელად იცავენ კვლევის ეთიკისა და კვლევის შედეგების კონფიდენციალურობის მოთხოვნებს;

29.2. კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩართული პირი მოქმედებს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.

III. უნივერსიტეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (სკოლის) ვალდებულებები ეთიკის და ქცევის კოდექსის იმპლემენტაციაში

30. უნივერსიტეტი თანამშრომლებსა და სტუდენტებს პერიოდულად შეახსენებენ ეთიკისა და ქცევის კოდექსის შესახებ და შეიძლება მოთხოვოს მასზე ხელმოწერა დასტურად იმისა, რომ ისინი იზიარებენ და ხელმძღვანელობენ ამ კოდექსით.

31. უნივერსიტეტი და მისი დამხმარე სერვისული სტრუქტურები აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პატიოსნების ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებენ ისეთი საქმიანობას, რომელიც ხელს შეუწყობს ეთიკური აკადემიური გარემოს შექმნას და მის განმტკიცებას.

32. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს დისკრიმინაციისა და ზეწოლისგან თავისუფალი გარემო.

33. წინამდებარე ეთიკისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლის აკადემიურმა, სამეცნიერო პერსონალმა და სხვა თანამშრომელმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

33.1. თავისი კვალიფიკაციის, გამოცდილების და საქმიანობის ფარგლებში დაამტკიცოს და ხაზი გაუსვას აკადემიური (სასწავლო) და სამეცნიერო პატიოსნების მნიშვნელობას – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სწორედ სიმართლის პატიოსანი გზით ძიებას ემსახურება, შესაბამისად, შექმნას ამ თვალსაზრისით მკაფიო ორიენტირები სტუდენტებისათვის, როგორც მომავალი პასუხისმგებლიანი თაობისათვის;

33.2. თითოეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ფარგლებში ჩართულმა აკადემიურმა, სამეცნიერო პერსონალმა და თანამშრომლებმა უნდა დაამტკიცონ,

რომ სიმართლის სამსახური წარმოადგენს ძირითადი ღირებულებების, მათ შორის სიბეჯითის, ზრდილობისა და პატიოსნების საფუძველს;

33.3. დანერგოს სწავლის სიყვარული – დაინტერესება აკადემიურ პატიოსნებაში ძლიერდება მაღალი სასწავლო სტანდარტებით. სტუდენტების უმრავლესობა სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდება ისეთ გარემოში, სადაც, აკადემიური პროცესი აღიქმება, როგორც სასარგებლო, სამართლიანი და გამოწვევებით აღსავსე საქმიანობა;

33.4. სტუდენტებთან თანასწორუფლებიანი მოპყრობა – უნივერსიტეტის თანამშრომლები უნდა მოექცნენ სტუდენტებს თანასწორუფლებიანად, ინდივიდუალური ყურადღებითა და გულისხმიერებით. გამორიცხონ მათ მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება საკუთარ შეფასებებში, უფრო მეტიც გააკეთონ სტუდენტებს შორის მსგავსი დამოკიდებულების პრევენცია. საფრთხის ან სავარაუდო შემთხვევის დროს დაუყოვნებლივ შეატყობინონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

33.5. სააუდიტორო, ელექტრონული თუ სხვა ფორმით სწავლების აკადემიური პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ურთიერთნდობის და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა;

33.6. სკოლის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის და თანამშრომლებისათვის პირველად ვალდებულებას წარმოადგენს მაღალი ეთიკური და ხარისხიანი სტანდარტების საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;

33.7. შეფასების სამართლიანი სისტემის განვითარება – სტუდენტების მოლოდინია, რომ მათი აკადემიური სამუშაო სრულყოფილად და სამართლიანად იქნება შეფასებული. შესაბამისად სკოლის აკადემიური პერსონალი და თანამშრომლები მუდმივად უნდა აუმჯობესებდნენ შეფასების სისტემას; თავის მხრივ სტუდენტები ვალდებულნი არიან ადეკვატურად, სამართლიანად და ეთიკურად რეაგირებდნენ მათ შეფასებებზე და განუხრელად იცავდნენ ეთიკის კოდექსს;

33.8. აკადემიური უსამართლობის პრევენცია – პრევენცია აკადემიური უსამართლობისგან დაცვის ქვაკუთხედია. სტუდენტებს არ უნდა მიეცეთ საშუალება, ჩაერთონ აკადემიურ უსამართლობაში. საეჭვო გარიგებებით, თანამშრომლობის არარეალისტური სტანდარტებით, არაადეკვატური საკლასო მენეჯმენტით. სკოლის თანამშრომლები საკუთარი ქმედებით უნდა ამკვიდრებდნენ

სამართლიანი აკადემიური ქცევის მაღალ სტანდარტებს; თავის მხრივ იგივე მოეთხოვებათ სტუდენტებს.

34. GAU ამკვიდრებს და იცავს აკადემიური სამართლიანობის უმაღლეს სტანდარტებს და ახდენს აკადემიური უსამართლობის პრევენციას ორივე სუბიექტის დასაქმებულის და სტუდენტის მხრიდან.

35. ეთიკის და ქცევის კოდექსით რეგლამენტირებული დებულებები სტუდენტებს აკისრებს ვალდებულებას, რომ დაიცვან აკადემიური პატიოსნების მაღალი სტანდარტები. სტუდენტმა, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყონ ისეთი საუნივერსიტეტო საზოგადოების განმტკიცებას, სადაც სტუდენტთა შორის კონკურენცია არის გამჭვირვალე, პატიოსნება პატივცემული, სამართლიანობა უპირატესი, ხოლო ყალთაბანდობა დასჯილი.

36. ეთიკისა და ქცევის კოდექსის მიხედვით აკადემიურ უსამართლობად შეიძლება განიხილებოდეს:

36.1. პლაგიატი – პლაგიატი წარმოადგენს სხვისი სამუშაოს, იდეის, აზრის გამოყენებას უფლებამოსილების გარეშე. პლაგიატი შეიძლება იყოს სხვისი სიტყვების გამოყენება ბრჭყალების გარეშე. ასევე შეიძლება იყოს გამოყენებული წყაროების დამახინჯება. პლაგიატი დაუშვებელია სამუშაოს ნებისმიერი ფორმით შესრულებისას. (პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად რეგულირდება „უნივერსიტეტის კეთილსინდისიერების პოლიტიკით და მექანიზმებით“;

36.2. დაფარული კოლაბორაცია – აკადემიური სამუშაოს შესრულებისას სხვა პირის ჩართულობის ფაქტის არსებობა;

36.3. უსამართლობა გამოცდების დროს – გამოცდაზე ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური ნაშრომი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. გამოცდაზე სტუდენტებს ეკრძალებათ ერთმანეთთან ურთიერთობა, მობილური ტელეფონის, ინტერნეტის და წიგნების გამოყენება გარდა ცალკეული ნებადართული შემთხვევებისა. ყალთაბანდობა აკრძალულია და მასში იგულისხმება სხვისგან გადაწერა; არაუფლებრივი დახმარება; საგამოცდო კითხვების წინასწარ ცოდნა და ა.შ. (გამოცდების ჩატარების წესები განისაზღვრება საგანმანთლებლო პროგრამით, საგამოცდო ცენტრის დებულებით და სკოლის ხელმძღვანელის შესაბამისი აქტებით);

36.4. ნაშრომის გადაწერა – სტუდენტებს ეკრძალებათ სხვა პიროვნების ან კომპანიის მიერ მომზადებული მასალის წარდგენა. წარდგენილი მასალა უნდა წარმოადგენდეს სტუდენტის პირად ნაშრომს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

36.5. მონაცემების განზრახ გაყალბება – სტუდენტებს ეკრძალებათ მონაცემების, საკურსო, საგამოცდო ან სხვა მასალების განზრახ გაყალბება;

36.6. ჩარევა სხვა სტუდენტის საქმეში – სტუდენტებს ეკრძალებათ განზრახ ჩარევა სხვა სტუდენტის საქმეში. მაგ: ლაბორატორიული ექსპერიმენტების და კვლევების დროს მავნებლობა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან სალექციო/პრაქტიკული სამუშაო პროცესის დარღვევა;

36.7. საავტორო უფლებების დარღვევა – საავტორო უფლება უნდა იყოს დაცული მიუხედავად შესრულებული სამუშაოს ფორმისა: ბეჭდური მასალები, გამრავლებული კომპიუტერული პროგრამები, ფოტოდუბლირებული და აუდიო-ვიზუალური მასალები.

IV. სპეციალური ქცევის წესები

37. ეთიკისა და ქცევის კოდექსით უნივერსიტეტი ასევე განსაზღვრავს ქცევის სპეციალურ წესებს:

37.1. ჩაცმის კოდექსი – GAU-ს არ გააჩნია მკაცრად განსაზღვრული ჩაცმის კოდექსი პერსონალისა და სტუდენტებისთვის. თუმცა არ დაიშვება ტანსაცმელი უპატივცემულო ან არაშესატყვისი წარწერით/ლოზუნგით. მამაკაცებმა არ უნდა ატარონ ქუდები ან კეპები შენობაში, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად ნებადართული შემთხვევებისა;

37.2. ალკოჰოლის მოხმარება – გარდა GAU-ს ადმინსიტრაციის მიერ ნებადართული შემთხვევებისა იკრძალება უნივერსიტეტში ალკოჰოლის შეტანა და მოხმარება;

37.3. ნარკოტიკები – GAU ახორციელებს დასჯის მკაცრ პოლიტიკას ნარკოტიკების მიმართ და კრძალავს მათი ნებისმიერი ფორმით დაშვებას და მოხმარებას უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

37.4. იარაღი – GAU კრძალავს ნებისმიერი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ან საგნის გამოყენებას, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს იარაღის დანიშნულება და ზიანს მიაყენებს სხვა პიროვნებას ან მის საკუთრებას;

37.5. მოწევა – GAU „არამწეველ“ დაწესებულებას წარმოადგენს; შესაბამისად უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოწევა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობის მკაცრი დაცვით.

V. პასუხიმგებლობა ეთიკის და ქცევის კოდექსის დარღვევისათვის

38. ეთიკის და ქცევის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისა და პრინციპების შემთხვევაში პირს დაეკისრება შესაბამისი დისციპლინური პასუხიმგებლობა.
39. უნივერსიტეტის მიერ დასაქმებული ნებისმიერი პირის მიმართ ამ კოდექსის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
    - შენიშვნა;
    - საყვედური;
    - სასტიკი საყვედური;
    - არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
    - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით - არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა;
    - უფრო დაბალ ხელფასზე გადაყვანა - არა უმეტეს ერთი წლისა;
    - სამუშაოდან დათხოვნა/შრომითი ხელშეკრულების მოშლა.
40. უნივერსიტეტის მიერ დასაქმებული ნებისმიერი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას სრულად გამოიყენება „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შინაგანაწესი.“
41. GAU-ს სტუდენტის მიერ კოდექსის დარღვევის შემთხვეაში გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
    - შენიშვნა;
    - საყვედური;
    - სასტიკი საყვედური;
    - სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
42. სტუდენტის მიერ ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევისათვის, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების დაკისრებისათვის ეთიკის კოდექსთან

ერთად, სრულად გამოიყენება „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შინაგანაწესის“ შესაბამისი პროცედურული ნორმები და მექანიზმები.

43. GAU-ს სტუდენტის ან დასაქმებული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის/სავარაუდო დანაშაულის შემთხვევაში ინფორმაციია მიწოდებული უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოებისათვის.

VI. კოდექსის მოქმედება და გაგება

44. GAU-ს ეთიკისა და ქცევის კოდექსი მოქმედებს უნივერსიტეტის სხვა, შესაბამის მარეგულირებელ აქტებთან ერთად, არ ცვლის, არ ეწინააღმდეგება და არ გამორიცხავს სხვა მარეგულირებელ ნორმებს.

45. GAU-ს ეთიკისა და ქცევის კოდექსი არ შეიძლება მოიცავდეს ყველა სავარაუდო შემთხვევას, შესაბამისად იგი გაგებული და ინტერპრეტირებული იქნება სხვა მარეგულირებელ აქტებთან კორელაციაში.